

საქართველოს უნივერსიტეტი

*ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა*

ფილოლოგია

*ხელნაწერის უფლებით*

ნატალია ბერკაცაშვილი

კონცეპტი „ბედი“ თანამედროვე ინგლისურ ენაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

232.1.3

თბილისი

2020

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

**მაია ჩხეიძე,**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი,  
პროფესორი

ოფიციალური ექსპერტები:

**რუსუდან გოცირიძე,**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი,  
პროფესორი

**ნათელა მოსიაშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 25 ივნისს, 19:00 საათზე.

მისამართი: თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი, კოსტავას 77ა, #519 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2020 წლის 24 მაისს.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

**ნათია მანჯიკაშვილი**

## შესავალი

სამყაროს ენობრივი ხატისა და მისი ძირითადი კონსტრუქტის - კონცეპტის - კვლევის აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე ლინგვისტიკაში ენის როლის გადააზრებით კულტურის შექმნის პროცესში. სამყაროს ხატი (ენობრივი ხატის ჩათვლით) კონსტრუირდება სამყაროზე ადამიანის წარმოდგენათა კვლევის საფუძველზე. სამყარო არის ადამიანი და მისი ყოფიერების სივრცის ურთიერთქმედება. ლინგვოკულტუროლოგიურ პრობლემათა კვლევამ საფუძველი ჩაუყარა ენისა და კულტურის მიმართებათა წვდომის ახალ პერსპექტივებს.

ენის მეშვეობით შესაძლებელია ამა თუ იმ ერის მენტალიტეტის, მსოფლხედვისა და ცხოვრების სტილის ამოცნობა. სამყაროს ენობრივ ხატში აირეკლება ეთნოსის კულტურულ და მორალურ ღირებულებათა ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია: ენაში აირეკლება ექსტრალინგვისტური სინამდვილის ის ნიშნები, რომელებიც რელევანტურია ამა თუ იმ კულტურის მატარებელთათვის.

ამრიგად, თემის აქტუალობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

1. კონცეპტთა კვლევა იძლევა კოგნიტური პროცესების, ადამიანის მენტალური სამყაროს გააზრების შესაძლებლობას. ეს ბუნებრივია, ვინაიდან სწორედ კონცეპტი წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს კონცეპტუალიზაციის საფუძველს. კონცეპტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მარკერი მისი ეთნოკულტურული დეტერმინირებულობაა;
2. ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში ჩამოყალიბებულ მიმართულებებში - კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ლინგვოკულტუროლოგიაში - ცხადად იკვეთება კონცეპტის კვლევისადმი სულ უფრო მზარდი ინტერესი, რაც განპირობებულია კონცეპტში არსებული ინფორმაციის მრავალგანზომილებიანობით;
3. ლინგოკოგნიტური და ლინგოკულტურული კვლევები იძლევა სამყაროს კონცეპტუალური, კულტურული და ენობრივი ხატების თავისებურებათა გამოვლენის შესაძლებლობას;

4. მიუხედავად კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგოკუტუროლოგიისადმი მიძღვნილ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომთა სიმრავლისა, დღემდე არსებობს დისკუსიურ საკითხთა წყება, რომელიც ეხება ენაში კონცეპტის მაქსიმალურად სრული ობიექტივიზაციის მეთოდთა ეფექტურობას;
5. ენაში ადამიანის რეპრეზენტაციის თავისებურებათა ანალიზის სიღრმე უნდა გულისხმობდეს ლინგვისტური კვლევის აქსიოლოგიურ ასპექტს, ვინაიდან სწორედ აქსიოლოგიურ ასპექტში იკვეთება ანთროპოცენტრისტული პრინციპის შემდგომი განვითარების კანონზომიერი გზა. ლინგვისტიკაში ღირებულებითი პრეფერენციების ანალიზი იძლევა ეროვნული ენობრივი ცნობიერებისა და ენობრივი სუბიექტის მოდელის კონსტრუირების შესაძლებლობას. ენა, როგორც კულტურის ფენომენი, აფიქსირებს და ასახავს როგორც კონკრეტულ სოციუმში მოცემული მომენტისათვის არსებული ღირებულებების, განწყობებისა და შეფასებების სისტემას, ისე იმ ღირებულებებს, რომლებიც მუდმივია კონკრეტული კულტურისათვის. უფრო მეტიც, ენა, რომელიც მუდმივად ურთიერთქმედებს კულტურასა და აზროვნებასთან, აყალიბებს ენობრივ პიროვნებას, რომელიც განეკუთვნება კონკრეტულ სოციოკულტურულ თემს - ერთობას, რომელსაც გააჩნია ღირებულებათა სისტემა, მორალი, ქცევა და დამოკიდებულება სამყაროსადმი;
6. სამწუხაროდ, აქსიოლოგიური ფრაზეოლოგია წარმოადგენს ლინგვისტიკის ნაკლებად გამოკვლეულ სფეროს;
7. კონცეპტი „ბედი“ წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მსოფლმხედველობრივ უნივერსალს - იგი განეკუთვნება ნებისმიერი ენისა და კულტურის ფუძემდებლურ კონცეპტთა რიგს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ ენობრივი რეპრეზენტაციის თავისებურებათა გამოვლენა, ენაში საკვლევი კონცეპტის ობიექტივიზაციისათვის საჭირო ელემენტების იდენტიფიცირებისა და ორგანიზების გზით.

დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება კვლევის ისეთი ეტაპის განხორციელება, როგორცაა:

1. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ ენობრივ ობიექტივატორთა კოგნიტური ინტერპრეტაცია, რაც გულისხმობს იმ კოგნიტურ დიფერენციალურ ნიშანთა გამოვლენას, რომლებიც აყალიბებს საკვლევ კონცეპტს მენტალურ ერთეულად;
2. კონცეპტის „ბედი“ მოდელირება, რაც გულისხმობს გამოვლენილ კოგნიტურ დიფერენციალურ ნიშანთა ორგანიზებას ნომინაციური ველების სახით;
3. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ ნომინაციური სიმჭიდროვისა და კომუნიკაციური რელევანტურობის ხარისხის დადგენა.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: სავარაუდოდ, საკვლევ კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა გამაერთიანებელი კონსტრუქტის ლოგიკურობა, სისრულე და ობიექტურობა მიღწევადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონსტრუქტი წარმოადგენს კონცეპტის შინაარსის შემანარჩუნებელ ძალთა შეთანხმებული მოქმედების სივრცეს.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს ინტერდისციპლინარიზმი, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს კვლევის განხორციელებას ლინგვისტიკის, კულტუროლოგიისა და ფილოსოფიის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგიის პოლიპარადიგმულობა რეალიზებულია ლინგვოკოგნიტურ, ლინგვოკულტუროლოგიურ და სისტემურ-სტრუქტურულ თეორიათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების სინთეზირების გზით.

ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს საკვლევ ფენომენისადმი:

1. სისტემურ მიდგომას;
2. ინტერპარადიგმულ მიდგომას;
3. ანალიზის ზოგადმეცნიერულ ფორმებს: ანალიზს, სინთეზს, ანალოგიზაციას, კონტრასტირებასა და მოდელირებას.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს კონცეპტის „ბედი“ მენტალურ და ლინგვისტურ მახასიათებელთა გამოვლენა თანამედროვე ინგლისურ ენაში ანთროპოცენტრისტული, კერძოდ კი, ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტურული პერსპექტივებიდან. უფრო დეტალურად კი, ნაშრომის მეცნიერული სიახლე გულისხმობს „ბედის“ ფრეიმის კონფიგურაციის განსაზღვრას ერთი მხრივ, კოგნიტური დიფერენციალური ნიშნების იდენტიფიცირებისა და კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა გამოვლენის, მეორე მხრივ კი, კონცეპტის ნომინაციური ველის სიმჭიდროვისა და კონცეპტის კომუნიკაციური რელევანტურობის ხარისხის განსაზღვრის გზით.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტი:

1. ნაშრომში განხორციელებულია კონცეპტის „ბედი“ ობიექტივატორთა ანალიზი ანთროპოცენტრიზმისა და აქსიოლოგიის პერსპექტივებიდან;
2. კვლევის ინტეგრატიულობა რეალიზებულია თანამედროვე ლინგვისტიკის ისეთ მიმართულებათა სინთეზირებით, როგორცაა კოგნიტური ლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია;
3. ნაშრომში სინთეზირებულია კონცეპტუალური და სემანტიკური ანალიზის მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ბედის ფენომენის დესკრიფციის სისრულეს.

ნაშრომის თეორიული ღირებულების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სამ ძირითად ასპექტს:

1. ინტერდისციპლინარულობას - მეთოდოლოგია ეყრდნობა ისეთ დისციპლინათა მონაცემებს, როგორებიცაა ლინგვისტიკა, ფილოსოფია და კულტუროლოგია;
2. აქტუალობას - საკვლევ პრობლემათა აქტუალობა ეფუძნება იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობს თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკიდან;
3. პოლიპარადიგმულობას - მეთოდოლოგია ცენტრირებულია როგორც სტრუქტურულ, ისე კოგნიტურ ლინგვისტიკაზე;

#### 4. ინტერპარადიგმულობას - მეთოდოლოგია ეფუძნება პარადიგმული სინთეზის პრინციპს.

კვლევაში გამოყენებულია ცნებათა და მეთოდთა ის ერთობლიობა, რომლებიც უკავშირდება საკუთრივ ლინგვისტური აზროვნების განვითარების თანამედროვე ეტაპებს. მთლიანობაში მეთოდოლოგია ეყრდნობა ყველა იმ განზომილებას, რომელთა მნიშვნელობაც დასტურდება მთელი კვლევის პროცესში. სწორედ სხვადასხვა სააზროვნო სივრცისა და პარადიგმის სინთეზი განსაზღვრავს ნაშრომის თეორიულ ღირებულებას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტით: მოძიებული მასალა და კვლევის შედეგები ვალიდურია როგორც კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის, ისე სტრუქტურული ლინგვისტიკის, ინგლისური ენის სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის სალექციო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია „ბედის“ აღმნიშვნელი ერთეულები თანამედროვე ინგლისურ ენაში. მასალა მოპოვებულია განმარტებით ლექსიკონების, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებისა და ასევე ბერკლის ფრეიმთა ქსელის მონაცემთა ანალიზის შედეგად.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე; განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

პირველ თავში - „კვლევის მეთოდოლოგია“ - განხილულია სემანტიკურ-კოგნიტური ანალიზის თავისებურებები და კონცეპტუალური იერარქიის სპეციფიკა.

მეორე თავი - „ლინგვოკოგნიტოლოგია და ლინგვოკულტუროლოგია“ - ეძღვნება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ენისადმი კოგნიტური მიდგომის არსი; კონცეპტუალური სტრუქტურებისა და გამოცდილების

ინტერპრეტაციის სპეციფიკა; კონცეპტისადმი ლინგვოკოგნიტურ და ლინგოკულტუროლოგიურ მიდგომათა არსი.

მესამე თავში - “ კონცეპტი „ბედი“ სხვადასხვა ეპოქაში“ – განხილულია საკვლევი კონცეპტის დეტერმინირებულობა დროისა და ალქმის თავისებურებებით; გამოვლენილია კონცეპტის „ბედი“ ინტერპრეტაციები სხვადასხვა სააზროვნო სივრცეში.

მეოთხე თავში - „აქსიოლოგიური ანალიზი და კოგნიტური ინტერპრეტაცია“ - გაანალიზებულია ენის კვლევისადმი აქსიოლოგიური მიდგომის არსი; იდენტიფიცირებულია კონცეპტის „ბედი“ ენობრივ ობიექტივატორთა სპეციფიკა.

დასკვნით ნაწილში შეჯამებული და განზოგადებულია კვლევის შედეგები.

თავი I. კვლევის მეთოდოლოგია

კვლავში გამოყენებულმა ინტეგრაციულმა მეთოდოლოგიამ უზრუნველყო „ბედის“ სემანტიკური ფრეიმის ადეკვატურობა, რაშიც იგულისხმება კონსტრუქტის უნარი, ასახოს:

1. სამყაროს შესახებ კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ცოდნისა და წარმოდგენების კომპლექსი;
2. მოვლენათა ალქმისა და ინტერპრეტაციის მანერა;
3. სოციუმის შემეცნებითი და ტექსტობრივი მოღვაწეობის სპეციფიკა;
4. ლინგვისტური და ექსტრალინგვიტური ცოდნის სპეციფიკა;
5. ცოდნის აღნიშნულ სახეობათა ერთიანობა;
6. ცნებათა იერარქიულობა;
7. რეალობის განუწყვეტელი „ფრეიმირების“ პროცესის თავისებურება.

ინტეგრაციული მეთოდოლოგიის, სემანტიკური დეკომპოზიისა და კონცეპტუალური ანალიზის მეთოდების გამოყენებით აიგო კონსტრუქტი, რომლის ობიექტთა უმრავლესობას გააჩნია იერარქიული ორგანიზაცია.

თავი II. ლინგვოკოგნიტოლოგია და ლინგოკულტუროლოგია



კონცეპტის სტრუქტურა მოიცავს ძირითად ნიშნებამდე შემჭიდროებულ ისტორიას, თანამედროვე ასოციაციებსა და შეფასებებს.

კონცეპტისადმი ლინგვოკოგნიტოლოგიურ და ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომათა სინთეზირება უზრუნველყოფს კონცეპტის სტრუქტურის ანალიზის ობიექტურობას, სისრულესა და ადეკვატურობას.

სწორედ აღნიშნულ მიდგომათა სინთეზირების წყალობით კონცეპტი წარმოადგენს:

1. ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების ამსახველი ცნობიერებისა და ინფორმაციული სტრუქტურის, მენტალური ან ფსიქიკური რესურსების ერთეულს;
2. მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემის, ადამიანის ფსიქიკაში ასახული სამყაროს ხატის ერთეულს.

კონცეპტისადმი ლინგვოკოგნიტოლოგიურ და ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომათა სინთეზირება შლის ენის ხედვის ფართე პერსპექტივას, რაც გულისხმობს ისეთ შესაძლებლობათა უზრუნველყოფას, როგორცაა:

1. ენასა და აზროვნებას შორის არსებულ მიმართებათა მრავალფეროვნების წვდომა;
2. ენასა და კულტურას შორის არსებულ მიმართებათა სპეციფიკის განსაზღვრა.

თავი III. კონცეპტი „ბედი“ სხვადასხვა ეპოქაში

ნაშრომში ბედის ფენომენი განხილულია ისეთ პოზიციათა პრიზმაში, როგორცაა:

1. მითოლოგიური ფატალიზმი, რომელიც გულისხმობს წინასწარგანსაზღვრულობას როგორც ირაციონალურ, გაუცნობიერებლ ქმედებას, ბოროტების საწყისის ხატს;
2. რაციონალისტური პოზიცია, რომელიც განიხილავს წინასწარგანსაზღვრულობას მიზეზ-შედეგობრივი კავშირის

კონტექსტში. აქ „არათავისუფლება“ წარმოდგენილია არა მითის, არამედ ადამიანის ქმედებათა სისტემის შედეგის სახით;

3. თეოლოგიური პოზიცია, რომელიც გულისხმობს ყოვლისშემძლე ღმერთის ნებასთან გაიგივებულ, აბსოლუტურ წინასწარგანსაზღვრულობას.

ბედის ფენომენის ინტერპრეტაციათა ველი იცვლება ეპოქისა და კაცობრიობის განვითარების ეტაპის მიხედვით.

თავი IV. აქსიოლოგიური ანალიზი და კოგნიტური ინტერპრეტაცია

კონცეპტთა კვლევა იძლევა კოგნიტური პროცესების, ადამიანის მენტალური სამყაროს გააზრების შესაძლებლობას. ეს ბუნებრივია, ვინაიდან სწორედ კონცეპტი წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს კონცეპტუალიზაციის საფუძველს. კონცეპტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მარკერი მისი ეთნოკულტურული დეტერმინირებულობაა.

კოგნიტური ნომინაციების რაოდენობის გათვალისწინებით, საკვლევი კონცეპტის ნომინაციურ ველს ახასიათებს ნომინაციური სიმკვრივის მაღალი ხარისხი. კონცეპტის მაღალი ნომინაციური სიმკვრივე მეტყველებს კონკრეტული საზოგადოებისათვის სინამდვილის საკვლევი ფრაგმენტის გააზრების აქტუალურობის მაღალ ხარისხზე, კონცეპტის სიმკვლეუსა და გამორჩეულ ღირებულებით მნიშვნელოვნებაზე, კონცეპტის კომუნიკაციურ რელევანტურობაზე.

### დასკვნა

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ კვლევის შედეგების წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგ დასკვნათა ფორმულირების გზით:

კონცეპტი „ბედი“ განეკუთვნება ბაზისურ კონცეპტთა რიცხვს - იგი მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებასა და ცნობიერებაში. მისი მნიშვნელობა იკვეთება ისეთ ბინარულ ოპოზიათა ფონზე, როგორცაა: აუცილებლობა და შეთხვევითობა; წინასწარგანსაზღვრულობა და თავისუფლება; გაცნობიერებულობა და არაპროგნიზირებადობა;

თანდაყოლილი და შეძენილი; აქტიურობა და პასიურობა; ცვალებადობასა და უცვლელობა; რაციონალურობა და ირაციონალურობა; საყოველთაობა და ინდივიდუალურობა; სამართლიანობა და უსამართლობა; მთლიანობრიობა და ფრაგმენტულობა.

კონცეპტი „ბედი“ დაკავშირებულია ვერტიკალთან (უზენაეს „ზემო“ ძალასთან, რომელიც უზენაეს ადამიანს რაღაცას), ჰორიზონტალთან (ცხოვრების გზა, ყველაფერი ის, რაც ადამიანს ხვდება ცხოვრების გზაზე) და მატერიასთან. ბედი ასოცირდება მოძრაობასთან, ადამიანის ცვლილებასთან, ასევე დროის მონაკვეთებთან, რომლებშიც შესამჩნევი ხდება ეს ცვლილება. ამრიგად, ბედი გააზრებულია დროისა და სივრცის კატეგორიათა მეშვეობით.

კონცეპტი „ბედი“ ეფუძნება წარმოდგენებს სამყაროში საყოველთაო კავშირების შესახებ. სწორედ ამ კავშირებს ექვემდებარება ყველაფერი, მათი წყალობით ცხოვრება განიხილება მოვლენათა ჯაჭვად.

კონცეპტის „ბედი“ ცნობობრივ შემადგენელს წარმოადგენს სამყაროში დეტერმინატორ ძალთა არსებობის იდეა, ხატობრივ შემადგენელს კი - გემტალტი „ძალა“, რომელიც ამოძრავებს ადამიანს ცხოვრების გზაზე.

ინგლისურ ენაში მკვეთრად დიფერენცირებულია ბედის „დადებითი“ და „უარყოფითი“ მნიშვნელობები.

ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში კონცეპტის „ბედი“ ძირითადი ეროვნული მარკერი დაკავშირებულია ბედის გააზრების ორ „პოლუსთან“. სწორედ მათგან მიისწრაფვის საკვლევის კონცეპტის ვერბალიზაციის ყველა ერთეული. პირველი „პოლუსის“ მარკერს წარმოადგენს „დასასრულის“ იდეა, მეორე „პოლუსი“ კი მარკირებულია „შემთხვევითობისა“ და „გამართლება-არგამართლების“ იდეებით.

ინგლისური მენტალიტეტს ახასიათებს მისტიციზმის დაბალი დონე, ადამიანის ძალისხმევის პრიორიტეტულობა და პრაგმატიზმი.

ეფუძნება რა აღქმის მთლიანობის პრინციპს, „ბედის“ სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს საკვლევი ფენომენის გაგების საფუძველს. ცოდნის

ფრაგმენტები არ არიან იზოლირებულნი - ისინი ურთიერთქმედებენ, ამასთან მათი ურთიერთქმედება ატარებს ერთიან სისტემურ ხასიათს.

„ბედის“ სემანტიკურ ფრეიმში გამოიყოფა ერთმანეთთან იერარქიულ მიმართებაში მყოფი, ერთმანეთის მიმართ დომიმანტური სეგმენტები (ბირთვი, ახლო და შორეული პერიფერიები). ცნებათა უმრავლესობა ქმნის იერარქიულ ქსელს. აღნიშნული ქსელის სტრუქტურული თავისებურება - გრადუალურობა - განპირობებულია ადამიანის მეხსიერებაში აკუმულირებულ ცნებათა შორის არსებული ურთიერთკავშირით.

კონცეპტი „ბედი“ წარმოადგენს ეროვნული და ინდივიდუალური ცნობიერების ბირთვს, კულტურის საკვანძო სიტყვას, რომელშიც აღბეჭდილია:

1. თავისუფლებისა და აუცილებლობის კატეგორიები;
2. ადამიანის გონების მცდელობა, გაიაზროს ძალის არსი, რომელიც განაგებს არა მხოლოდ ადამიანის ცხოვრებას, არამედ წესრიგს მთელ სამყაროში.

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ ფრაზეოლოგიურ რეპრეზენტატთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა ისეთი ტიპის კულტურული კოდების არსებობა, როგორცაა: ეთნიკური კოდი; ანტროპომორფული კულტურული კოდი; კვანტიტატური კულტურული კოდი; რელიგიური კულტურული კოდი; ტემპორალური კულტურული კოდი.

კონცეპტის „ბედის“ ხანიერებასა და კონცეპტის ღირებულებით მნიშვნელოვნებაზე მეტყველებს კონცეპტის ნიშნობრივი აღნიშვნის პოტენციალის მრავალფეროვნება.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. კონცეპტის „ბედი“ ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტის რეალიზაცია სამყაროს ინგლისურეოვან ხატში. საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალი “Scripta manent”, N 4 (44), 2019.
2. კონცეპტი „ომი“ სხვადასხვა ეპოქაში, დროსა და სივრცეში. თანამედროვე ინგლისურ ენაში. საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალი “Scripta manent”, N 4 (44), 2019.

**The University of Georgia**

*The School of Arts and Humanities*

**Philology**

*Manuscript Copyright Protected*

**Natalia Berkatsashvili**

# **The Concept of “Fate” in Modern English**

**Synopsis**

of the thesis submitted in partial fulfillment for the Degree of Doctor of  
Philosophy (PhD) in Philology

232.1.3

Tbilisi  
2020

The doctoral dissertation has been written at the School of Arts and humanities, The University of Georgia.

Academic Supervisor:

**Maia Chkheidze,**  
Doctor of Philological science,  
Professor

Reviewers:

**Rusudan Gotsiridze,**  
Doctor of Philological science,  
Professor

**Natela Mosiashvili,**  
Doctor of Philology

The defense of the dissertation will on be held on June 25, 2020, at 19:00 p.m.

Venue: The University of Georgia, Room #519, Building IV, 77a, Kostava str, 0165, Tbilisi, Georgia.

A copy of the dissertation is available at the library of the University of Georgia/

The synopsis was sent on May, 2020.

Secretary of the Dissertation Board: Natia Manjikashvili

## *Introduction*

The actuality of the research of the lingual worldview and its basic construct - concept - is determined by the significance of the interpretation of the role of the language in the process of creating a culture. Worldview (including the lingual world view) is constructed on the basis of the study of human viewpoints about the world. The world is considered to be the interaction existing between the human being and his/her existential space. The study of linguo-cultural problems has provided the basis for the new perspectives for understanding the relation between language and culture.

The mentality, worldview and lifestyle of a particular nation can be identified through the language. The lingual worldview reflects the history of the formation and development of cultural and moral values of the ethnic group: language reflects the characteristics of extralinguistic reality that are relevant to the representatives of a particular culture.

Accordingly, the factors determining the actuality of the topic are as follows:

1. The study of concepts provides the opportunity to understand both the cognitive processes and the mental world of a human being. This is natural because it is the concept that underlies the conceptualization of the world by the human. One of the most significant markers of the concept is its ethno cultural determinacy;
2. The trends developed within the anthropocentric paradigm - in cognitive linguistics and linguo-cultural studies –obviously show a growing interest in the study of the concept that is provoked by the multidimensionality of the information integrated in the concept;
3. Linguo-cognitive and linguo-cultural studies provide the opportunity to identify the peculiarities of the conceptual, cultural and lingual worldviews;
4. Despite the abundance of theoretical or practical works devoted to cognitive linguistics and linguo-cultural studies, there is still a wide range of controversial issues concerning the effectiveness of methods for the utmost objectivation of the concept existing in the language;
5. The in-depth analysis of the characteristics of human representation in a language must also imply the axiological aspect of linguistic research since it is the axiological aspect that outlines the natural way for the further development of the anthropocentric principle. The analysis of value related preferences in linguistics provides the opportunity to construct a model of national linguistic awareness and speaking individual. Language as a phenomenon of culture expresses and reflects the system of values, attitudes and evaluations existing in a particular society for a given moment as well as the values that are constant for a particular culture.



Moreover, the language that constantly interacts with culture and thought develops a lingual personality that belongs to a particular socio-cultural community – the unity that has a system of values, moral, behavior and attitudes towards the world;

6. Unfortunately, axiological phraseology is an under-researched branch of linguistics;
7. The concept “*fate*” is one of the most essential universals - it belongs to a set of underlying concepts of any language and culture.

The present paper aims at demonstrating specifics of the lingual representation of the concept of “*fate*” in modern English by identifying and organizing the elements necessary for the objectivation of the concept in the language.

Achieving the stated goal requires the implementation of the phases of the research process such as:

1. Making the cognitive interpretation of the concept of “*fate*” by the lingual objectivators in modern English that implies the identification of the cognitive differential signs, molding the research concept into a mental entity;
2. Modeling the concept of “*fate*” that implies organizing identified cognitive differential signs in the form of nominative fields;
3. Determining the nominative density and quality of communicative relevance for the concept of “*fate*” in modern English.

The hypothesis of the research paper sounds like this: it is likely that the logic, completeness, and objectivity of the construct unifying the lingual objectivators of the concept can be attained only if the construct represents the space marked by the ordered functioning of the forces capable of preserving the content of the concept.

The basis of the research methodology is interdisciplinarity that particularly involves conducting a research on the basis of data analysis in linguistics, cultural studies and philosophy.

The poliparadigmacy of the research methodology in the paper is realized through the synthesis of the methods developed within the framework of linguo-cognitive, linguo-cultural and systemic-structural theories.

The methodology applied in the research paper includes:

1. Systemic approach to the research phenomenon;

2. Interparadigmatic approach to the research phenomenon;
3. Scientific forms of analysis: analysis, synthesis, analogization, contrasting and modeling.

The scientific novelty of the paper is to distinguish the conceptual and lingual features of the concept of “*fate*” in modern English from anthropocentric, namely, linguo-cognitive and linguo-cultural perspectives. In further detail, the scientific novelty of the paper involves defining the frame configuration for “*fate*,” on the one hand, by identifying cognitive differential signs and demonstrating lingual objectivators of the concept, and, on the other hand, by determining the nominative field density as well as the degree of communicative relevance of the concept.

The theoretical significance of the paper is determined by the following fact:

1. The paper analyzes the objectivators of the concept of “*fate*” from the perspectives of anthropocentrism and axiology;
2. Integrity of the research is realized by synthesizing the trends of modern linguistics such as cognitive linguistics and linguo-culturology;
3. The methods of conceptual and semantic analysis are synthesized in the present paper ensuring the completeness of description for the phenomenon of “*fate*”.

An important component of the theoretical significance of the paper is the research methodology that encompasses three principal aspects:

1. Interdisciplinarity - The methodology is based on the data of the disciplines such as linguistics, philosophy and culturology;
2. Relevance - The relevance of the research problems is based on the theoretical and methodological requirements derived from the paradigmatic dynamics of modern linguistics;
3. Poliparadigmacy - The methodology is focused on both structural and cognitive linguistics;
4. Interparadigmacy - The methodology is based on the principle of paradigmatic synthesis.

The research uses a set of notions and methods that are related to modern stages of the development of linguistic thought. All in all, the methodology is based upon all the dimensions. These dimensions are important and this fact is evidenced throughout the entire research process. It is the synthesis of different thinking spaces and paradigms that determine the theoretical significance of the paper.

The practical significance of the paper is determined by the following fact: the material obtained and the research findings are valid for the courses of cognitive linguistics and linguo-cultural studies as well as for structural linguistics, English stylistics and lexicology.

The units denoting “*fate*” in modern English are used as research material. The material is obtained based on the data analysis of explanatory dictionaries, samples of fiction, and the Frame Net of Berkeley.

The structure of the paper consists of introduction, chapters, sections, conclusions and bibliography.

The introduction substantiates the relevance and scientific novelty of the research topic. It defines the goal of the research, the missions necessary for achieving this goal and stages of the research process as well as the theoretical and practical significance of the paper and the research methodology.

Chapter One - Research Methodology - discusses the features of semantic-cognitive analysis and the specifics of the conceptual hierarchy.

Chapter Two – Linguo-cognitology and Linguo-culturology - deals with the following issues: the essence of the cognitive approach to the language; specifics of the interpretation of the conceptual structures and experience; the essence of the linguo-cognitive and linguo-culturological approaches to the concept.

Chapter Three - The Concept of “*Fate*” in Different Periods of Time - discusses the determinacy of the research concept with the features of time and perception. Interpretations of the concept of “*fate*” have been identified in various thinking spaces.

Chapter Four - Axiological Analysis and Cognitive Interpretation - analyzes the essence of the axiological approach to the language research. The specifics of the lingual objectivators for the concept of “*fate*” has been identified.

The conclusion section summarizes and generalizes the research findings.

#### Chapter One. Research Methodology

The integrative methodology applied in the research ensured the adequacy of the semantic frame for “*fate*”, indicating the ability of the construct to reflect:

1. The system of knowledge and images of a particular language group about the world;
2. The manner of perceiving and interpreting phenomena;
3. The specifics of the cognitive and textual activities of the society;
4. The specifics of linguistic and extralinguistic knowledge;
5. The unity of these types of knowledge;
6. The hierarchy of concepts;
7. The peculiarity of the continuous "framing" process of the reality.

The construct has been built up using the integrative methodology, semantic decomposition and the methods of conceptual analysis with most of the objects having a hierarchical organization.

## Chapter Two. Linguo-cognitology and Linguo-culturology

The structure of the concept comprises the history restricted to key features, modern associations and evaluations.

Synthesizing the linguo-cognitive and linguo-culturological approaches to the concept ensures objectivity, completeness and adequacy for the analysis of the structure of the concept.

Thanks to the synthesis of these approaches, the concept is a:

1. Unit of consciousness and information structure reflecting the human knowledge and experience as well as the unit of mental or psychic resources;
2. Unit of memory, mental lexicon, conceptual system, and the worldview reflected in the human psyche.

Synthesizing the linguo-cognitive and linguo-culturological approaches to the concept opens up the broader perspective of viewpoint in language, which involves providing the opportunities such as:

1. Understanding the diversity of relations between language and thought;
2. Defining the specifics of relations between language and culture.

## Chapter Three - The Concept of "*Fate*" in Different Periods of Time

The research paper discusses the phenomenon of "*fate*" in terms of the points such as:

1. Mythological fatalism that implies predestination as an irrational, unconscious act and the icon of the origin of evil;
2. Rationalist position that considers predestination in the context of cause-effect relationship. Here, "non-liberation" is represented not as a myth but as a result of a system of human actions;
3. Theological position that implies absolute predestination identified with the will of Almighty God.

The field of interpretations for the phenomenon of fate varies according to different periods of time and the stages of human development.

#### Chapter Four - Axiological Analysis and Cognitive Interpretation

The study of concepts provides the opportunity to understand cognitive processes and the mental world of the human. This is natural since the concept is the basis of the conceptualization of the world by the human. One of the most significant markers of the concept is its ethnocultural determinacy.

Considering the number of cognitive nominations, the nominative field of the research concept is characterized by a high level of nominative density. The high level of nominative density of the concept points to the high degree of the actuality of understanding the research fragment of the reality by a particular community as well as to the length of an existence of the concept, its distinguished value related significance, and communicative relevance.

#### *Conclusion*

The research findings for the concept of "*fate*" in modern English can be presented by formulating the following conclusions:

The concept of "*fate*" belongs to a number of basic concepts - it is important in human life and consciousness. Its importance is manifested in the light of binary opposition such as necessity and contingency; predestination and free will; awareness and unpredictability; innate and acquired; activity and passivity; variability and invariance; rationality and irrationality; universality and individuality; justice and injustice; integrity and fragmentation.

The concept of "*fate*" is associated with the vertical (the supreme "upper" power that sends something to the human being), the horizontal (the way of life, everything that meets humans on the path of their life) and with the matter. Fate is associated with

movement, change in human beings as well as the time periods in which this change is observable. Accordingly, fate is understood through the categories of time and space.

The concept of “*fate*” is based on the images about universal relations in the world. Everything is subject to these relations, and thanks to them life is viewed as a chain of events.

The conceptual element of the concept of “*fate*” is the idea of the existence of determinative forces in the world, and the image element is the gestalt “*force*” that motivates a person on the path of his/her life.

In the English language, the “positive” and “negative” meanings of fate are strongly differentiated.

The basic national marker of the concept of “*fate*” in the English lingual consciousness relates to understanding the two “poles” of fate. That is where all the verbalization units of the research concept are striving for. The marker of the first “pole” is the idea of the “end”; the second “pole” is marked by the ideas of “contingency” and “to be lucky-to be unlucky.”

The English mentality is characterized by a low level of mysticism, the priority of human attempt, and pragmatism.

Based on the principle of perceptual integrity, the semantic frame of “*fate*” is the basis of understanding the research phenomenon. The fragments of knowledge are not isolated - they interact, and their interaction is of a common systemic nature.

In the semantic frame of “*fate*” the hierarchical, dominant segments (core, close and distant peripheries) are separated. Most of the concepts form a hierarchical network. The structural characteristic of this network - graduality - is determined by the interrelationship of the concepts accumulated in human memory.

The concept of “*fate*” is the core of national and individual consciousness, a keyword in culture that depicts:

1. The categories of freedom and necessity;
2. The attempt of the human mind to grasp the essence of power that governs not only the human life but the order in the whole universe.

The analysis of the phraseological objectivators for the concept of "*fate*" in modern English has revealed the existence of the cultural codes such as ethnical code, anthropomorphic cultural code, quantitative cultural code, religious cultural code, and temporal cultural code.

The diversity of potentials for nominative indication of the concept points to the length of an existence of the concept of "*fate*" and its value-related significance.

List of Publications:

1. Realization of the linguistic-cultural aspect of the concept "fate" in the English world-view. International peer-reviewed multilingual scientific journal "Scripta manent", N 4 (44), 2019.
2. The concept of "war" in different eras, time and space. International peer-reviewed multilingual scientific journal "Scripta manent", N 4 (44), 2019.